შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერ
ს/კ: 445593705

ჯავახიშვილის 4ა
ბათუმი, საქართველო, 6004
ტელ: (+995) 511 400 303
ელ-ფოსტა: info@meridiani.edu.ge
ვებ-გვერდი: www.meridiani.edu.ge

MERIDIAN

LIMITED LIABILITY COMPANY
Meridian Maritime Training Centre
I/N: 445593705

Javakhishvilis str. 4a
Batumi, Georgia, 6004
Tel: (+995) 511 400 303
E-mail: info@meridiani.edu.ge
Web: www.meridiani.edu.ge

№ 00000113

03/06/2025

დამტკიცებულია კოლეჯის აღმასრულებელი დირექტორის მიერ

შპს „მერიდიან მერითაიმ ტრეინინგ სენთერის“ კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

ბათუმი 2025

შპს კოლეჯი მერიდიანი
აღმასრულებელი დირექტორი
შარაბიძე ირაკლი

სარჩევი

მუხლი 1. რეგულირების სფერო....2
მუხლი 2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები....2
მუხლი 3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპები....2
მუხლი 4. კოლეჯის მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება....2
მუხლი 5. აპლიკანტთა რეგისტრაცია....3
მუხლი 6. აპლიკანტთა შერჩევა....4
მუხლი 7. შერჩევა საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე....5
მუხლი 8. დაწესებულებაში ჩარიცხვა....6
მუხლი 9. დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსება (არსებობის შემთხვევაში)....8
მუხლი 10. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროგრამაზე მიღება....8
მუხლი 11. დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსება (არსებობის შემთხვევაში)....9
მუხლი 12.სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის პროგრამაზე ჩარიცხვა....9
მუხლი 13. შესარჩევი და სააპელაციო კომისიები....9
მუხლი 14. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება და აღდგენა....10
მუხლი 15. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა....11
მუხლი 16. მობილობა....12
მუხლი 17. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები....14
მუხლი 18. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება....14
მუხლი 19. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და სასწავლო პროცესის ორგანიზება14
მუხლი 20. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა....15
მუხლი 21. სწავლების ფორმა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება....17
მუხლი 22. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების წესი....21
მუხლი 23. კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება....22
მუხლი 24. შეფასების უწყისის წარმოება და რეგისტრაცია....23
მუხლი 25. ფორმალური განათლების აღიარება....23
მუხლი 26. არაფორმალური განათლების აღიარება....27
მუხლი 27. კვალიფიკაციის მინიჭება....27
მუხლი 28. დიპლომის გაცემა....28
მუხლი 29. ინკლუზიური პროფესიული განათლების უზრუნველყოფა....28
მუხლი 30. შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია....29
მუხლი 31. დასკვნითი დებულებები....30

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1.1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება - „მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერ“- (შემდგომში - კოლეჯი/დაწესებულება) სასწავლო პროცესს წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, ამ წესისა და კოლეჯში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

1.2. წინამდებარე წესი განსაზღვრავს კოლეჯში პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, მიღებული ფორმალური განათლების აღიარების წესს, სწავლის შედეგების შეფასების სისტემას, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს, ინდივიუალური გეგმის შემუშავების, ვალიდაციის, ვერიფიკაციისა და სასწავლო პროცესის განმსაზღვრელ სხვა წესებს.

მუხლი 2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

2.1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს:

ა) სულ მცირე საბაზო ზოგადი განათლება;

ბ) საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ შერჩეული სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ჯანმრთელობის ცნობა.

2.2. პროფესიული მომზადების პროგრამაზე ან პროფესიული გადამზადების პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი პროგრამით დადგენილ პირობებს.

მუხლი 3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპები

3.1. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება;

ბ) აპლიკანტთა რეგისტრაცია;

გ) შერჩევა;

დ) აპლიკანტთა რეიტინგული სიის შედგენა, რომლის ფორმა მტკიცდება სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (შემდგომში - მართვის სისტემა) უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

ე) აპლიკანტების მიერ საჭირო დოკუმენტების წარდგენა;

ბ) შედეგების გამოცხადება და პროგრამაზე ჩარიცხვა, რის საფუძველზეც აპლიკანტს ენიჭება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

მუხლი 4. კოლეჯის მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება

4.1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადების მიზნით, კოლეჯი, ავსებს ანკეტა-კითხვარს ელექტრონულად მართვის საინფორმაციო სისტემაში - შემდგომში „ელექტრონული პორტალი“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის 42/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების შესაბამისად დადგენილ ვადებში.

4.2. კოლეჯის და მათი პროგრამების შესახებ ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მართვის სისტემისთვის მიწოდებული მონაცემები, რომლებიც აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. მიწოდებული ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია სსიპ –

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ხოლო ამავე სისტემაში კოლეჯის მიერ შევსებული ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია თავად კოლეჯი.

4.3. მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაანგარიშება ხორციელდება შემდეგი პრინციპით:

ა) პროგრამისათვის განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას აკლდება ამ პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტების რაოდენობა და მიღებული სხვაობა ემატება ამ პროგრამაზე სწავლის დაწყების დროისათვის დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტების რაოდენობას;

ბ) აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა გამოითვლება დაწესებულების მიერ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემების შესაბამისად, ანკეტა-კითხვარის შევსების დაწყების წინა დღის მდგომარეობით;

გ) დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა გამოითვლება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სწავლის დაწყების თარიღის მდგომარეობით, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული მონაცემების შესაბამისად.

4.4. მართვის სისტემა ამუშავებს ანკეტა-კითხვარში ასახულ მონაცემებს ელექტრონულად და განათავსებს სარეგისტრაციო სისტემაში.

4.5. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე წესის მე-5 მუხლის 5.2. პუნქტით განსაზღვრული შერჩევის პერიოდის დასრულებიდან პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემით დადგენილ ვადაში კოლეჯი უფლებამოსილია მისაღები ადგილები გაზარდოს შესაბამის პროგრამაზე არსებული თავისუფალი ადგილების რაოდენობის ფარგლებში.

მუხლი 5. აპლიკანტთა რეგისტრაცია

5.1. პროგრამაზე რეგისტრაციის მიზნით, პირი გადის ავტორიზაციას სარეგისტრაციო სისტემაში და რეგისტრირდება აპლიკანტად. სარეგისტრაციო სისტემა წარმოადგენს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შემადგენელ ელექტრონულ მოდულს. მასში აპლიკანტთა რეგისტრაციის ეტაპზე აპლიკანტის პერსონალური მონაცემები გროვდება და მუშავდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. სავალდებულოა უზრუნველყოფილი იქნეს არსებულ სისტემაში მონაცემთა კონფიდენციალური დაცვა.

5.2. აპლიკანტთა რეგისტრაცია ხორციელდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში.

5.3. რეგისტრაციისას აპლიკანტი უფლებამოსილია აირჩიოს არაუმეტეს 3 სასურველი პროგრამა.

5.4. რეგისტრაციისას სარეგისტრაციო სისტემაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია აპლიკანტი. სარეგისტრაციო სისტემაში მცდარი მონაცემების ასახვა შესაძლოა გახდეს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის ან პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ დაწესებულების მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად/ბათილად ცნობის საფუძველი.

5.5. რეგისტრაცია დასტურდება აპლიკანტის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი შეტყობინებით, შევსებული მონაცემები მისთვის ხელმისაწვდომია

ინდივიდუალური ანგარიშის მეშვეობით.

5.6. აპლიკანტს არჩევანის შეცვლა შეუძლია რეგისტრაციისთვის ამ მუხლის 5.2. პუნქტის საფუძველზე დადგენილ ვადაში.

5.7. მართვის სისტემა უფლებამოსილია რეგისტრაციის პროცესში პირის იდენტიფიცირება განახორციელოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (შემდგომში - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო) მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებული პერსონალური მონაცემებით.

5.8. მართვის სისტემა აპლიკანტის განათლების მიღწეული დონის შესახებ ინფორმაციას ამოწმებს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემებში, აპლიკანტის შესახებ მონაცემების არსებობის შემთხვევაში.

5.9. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე დებულებით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, სარეგისტრაციო სისტემაში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია.

მუხლი 6. აპლიკანტთა შერჩევა

6.1. აპლიკანტთა შერჩევა მოიცავს პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა შეფასების პროცესს.

6.2. შერჩევის პერიოდი და სწავლის დაწყების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/აქტებით.

6.3. აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის 42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ წესის III თავით დადგენილი რეგულაციების შესაბამისად.

6.4. შერჩევა ხორციელდება ქართულ ენაზე, გარდა კანონით ნებადართული გათვალისწინებული შემთხვევისა. შერჩევა შესაძლებელია განხორციელდეს ასევე რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენებზე. დაწესებულება ვალდებულია ამ გზით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამაზე სწავლება დაიწყოს ქართული ენის მოდულით. ქართული ენის მოდულის დაუძლევლობის შემთხვევაში, პირს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი. ქართული ენის მოდულის დაძლევის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი სარგებლობს გარდამავალი (მომლოდინე) პროფესიული სტუდენტის სტატუსით და უფლებამოსილია:

ა) სწავლა განაგრძოს იმავე პროგრამაზე, რომელზეც განხორციელდა მისი ჩარიცხვა. ამ შემთხვევაში, მას პროფესიული სტუდენტის სტატუსი გაუაქტიურდება პირადი განცხადების საფუძველზე, შემდგომი მიღების ფარგლებში ამ პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის დაწყებისთანავე;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად ისარგებლოს შიდა მობილობით კანონდებლობით დადგენილი წესით.

გ) ისარგებლოს გარე მობილობით, მინისტრის მიერ დადგენილი წესით;

დ) შეინარჩუნოს მის მიერ მოპოვებული სამართლებრივი მდგომარეობა.

მუხლი 7. შერჩევა საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე

7.1. საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და კოლეჯის აღმასრულებელი დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესით, რომელიც არეგულირებს:

ა) შერჩევის ვადებს და ამ ვადების სარეგისტრაციო სისტემაში ასახვას;

ბ) შეფასების თარიღების შესახებ აპლიკანტთა ინფორმირების ფორმებს;

გ) შეფასების მეთოდებსა და ეტაპებს;

დ) შესარჩევი და სააპელაციო კომისიების ფორმირების, მათი მუშაობის, გადაწყვეტილების მიღების წესს;

ე) აპელაციის წესსა და ვადებს;

ვ) საჭიროების შემთხვევაში აპლიკანტის განსხვავებულ თარიღში შეფასების უზრუნველყოფის წესსა და პირობებს;

ზ) დაწესებულების მიერ განსაზღვრულ სხვა პირობებს.

7.2. თითოეულ საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შეფასების თარიღი/თარიღები განისაზღვრება დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. შერჩევა უნდა განხორციელდეს ამ წესის მე-6 მუხლის 6.2. პუნქტით გათვალისწინებულ შერჩევის პერიოდში. კოლეჯი ვალდებულია აღნიშნული ინფორმაცია ასახოს სარეგისტრაციო სისტემაში და ასევე, განათავსოს მის ოფიციალურ ვებგვერდზე, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე;

7.3. კოლეჯი ვალდებულია ამ მუხლის 7.2. პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული თარიღის/თარიღების შესახებ აცნობოს აპლიკანტს, გონივრულ ვადაში, ამ მუხლის 7.1. პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე განსაზღვრული წესით.

7.4. ამ მუხლის 7.1. პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შესარჩევი და აპელაციის კომისიების ფორმირების, მათი მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი უნდა გამორიცხავდეს მხოლოდ დაწესებულების წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და უნდა ითვალისწინებდეს დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციების/დარგის დამოუკიდებელი სპეციალისტის მონაწილეობას.

7.5. კოლეჯი, ამ წესის მე-6 მუხლის 6.2. პუნქტით გათვალისწინებულ შერჩევის პერიოდში სარეგისტრაციო სისტემაში ასახავს აპლიკანტთა შეფასების შედეგებს.

7.6. შეფასება არის დიფერენცირებული და კოლეჯი განსაზღვრავს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს შერჩევის ეტაპის დაწყებამდე.

7.7. მართვის სისტემა რეიტინგულ სიას ადგენს აპლიკანტის შეფასების შედეგების, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირის სტატუსისა და განათლების მიღწეული დონის გათვალისწინებით, რომელიც მტკიცდება დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

7.8. აპლიკანტის შეფასების შედეგი წარმოადგენს რეიტინგულ ქულას, გარდა ამ მუხლის 7.9. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

7.9. თუ აპლიკანტი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირი, მისი რეიტინგული ქულა განისაზღვრება შეფასების

შედეგად მიღებული ქულის 1.1. კოეფიციენტზე გამრავლებით.

7.10. თუ აპლიკანტთა რაოდენობა ნაკლებია პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობაზე, რეიტინგული სია დგება ყველა იმ აპლიკანტის გათვალისწინებით(მიუხედავად განათლების მიღწეული დონისა), რომელთა რეიტინგული ქულა უტოლდება ან აღემატება დაწესებულების მიერ პროგრამისთვის დადგენილ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს.

7.11. თანაბარი რეიტინგული ქულის მქონე აპლიკანტები რეიტინგულ სიაში დაიკავებენ ერთსა და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნუმერაცია გაგრძელდება თითოეული ადგილისთვის თანაბარი ქულის მქონე აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.

7.12. მართვის სისტემა, სარეგისტრაციო სისტემაში, უზრუნველყოფს:

ა) კოლეჯისთვის აპლიკანტთა რეიტინგული სიების ხელმისაწვდომობას თითოეული პროგრამის მიხედვით, შერჩევის ეტაპის დასრულებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში;

ბ) აპლიკანტისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რეიტინგში მისი ადგილის შესახებ, რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, ყველა არჩეული პროგრამის მიხედვით, ამ წესის მე-6 მუხლის 6.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან 03 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

7.13. თუ აპლიკანტს რეგისტრაციისას რამდენიმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აქვს არჩეული, ამ მუხლის 7.12. პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის აპლიკანტებისთვის ხელმისაწვდომობის შემდეგ, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში ირჩევს მის მიერ რეგისტრაციისას მითითებულ იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან ერთ-ერთს, რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება და დაწესებულებაში წარადგენს აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დაწესებულების მიერ განსაზღვრულ დოკუმენტებს.

მუხლი 8. დაწესებულებაში ჩარიცხვა

8.1. კოლეჯი ვალდებულია, აპლიკანტები ჩარიცხოს პროგრამისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით, უმაღლესიდან უმდაბლესისკენ, აპლიკანტის მიერ წერილობით გამოხატული (განცხადება) ნების საფუძველზე.

8.2. კოლეჯის აღმასრულებელი დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მტკიცდება დოკუმენტების წარდგენის ფორმა და ვადები.

8.3. აპლიკანტმა, კოლეჯში ჩარიცხვის მიზნით უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

ა) განცხადება აღმასრულებელი დირექტორის სახელზე;

ბ) ერთი ცალი ფოტოსურათი;

გ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტის შემთხვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) პირადობის მოწმობა/პასპორტი (არასრულწლოვნის შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის პირადობის მოწმობა).

ე) პროგრამაზე დაშვების წინაპირობის გათვალისწინებით (მოთხოვნის შემთხვევაში)

„მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტანდარტების“ მოთხოვნის („საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს 2014 წლის 26 თებერვლის №01 ბრძანება) შესაბამისი დოკუმენტი - სამედიცინომოწმობა, გაცემული საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ შერჩეული სამედიცინო დაწესებულების მიერ.

ვ) წვევამდელის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ან წვევამდელის სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის დამადასტურებელი დოკუმენტი.

8.4. მინისტრის მიერ დადგენილ ვადებში, ამ მუხლის 8.1.პუნქტით დადგენილი წესისა და ამ მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.

8.5. კოლეჯი უფლებამოსილია აპლიკანტს არ მოსთხოვოს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ აღნიშნული განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევა, აპლიკანტის რეგისტრაციის მომენტში, დადასტურებულია მართვის სისტემის მიერ.

8.6. აპლიკანტი, რომელსაც რეგისტრაციისას არჩეული აქვს რამდენიმე პროგრამა, უფლებამოსილია ჩაირიცხოს მხოლოდ ერთ პროგრამაზე.

8.7. რეიტინგულ სიაში, აპლიკანტის ადგილს იკავებს რეიტინგული სიის მიხედვით შემდეგი აპლიკანტი:

ა) ამ მუხლის 8.1. პუნქტით დადგენილი წესის საფუძველზე დაწესებულების მიერ აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში;

ბ) აპლიკანტის მიერ ჩარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში;

გ) აპლიკანტის სხვა პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში.

8.8. თუ ორი ან ორზე მეტი აპლიკანტი რეიტინგულ სიაში მოხვდა თანაბარი რეიტინგული ქულით და მათი პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებულ ადგილების რაოდენობას, დაწესებულებას შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაემატება მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ის რაოდენობა, რაც აუცილებელია ამ პუნქტით განსაზღვრული თანაბარი ქულის მქონე აპლიკანტების ჩასარიცხად.

8.9. თუ ამ მუხლის 8.10. პუნქტის საფუძველზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს დაწესებულების შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფილი ადგილებისთვის შესაბამის წელს განსაზღვრული მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობის ფარგლებს, დამატებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა გამოაკლდება მოცემულ პროგრამაზე შემდეგ წელს მისაღებ ადგილებს, ხოლო ასეთის არსებობის შემთხვევაში - სწავლების შესაბამის ფორმაზე/სასწავლო გეგმაზე არსებულ თავისუფალ ადგილებს.

8.10. დაწესებულება ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა შესახებ ინფორმაციის ასახვა პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ამ წესის მე-6 მუხლის 6.2. პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე.

8.11. კოლეჯი ამ მუხლის 8.3. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარდგენიდან, მინისტრის მიერ დადგენილ ვადაში, დაწესებულების ა ღ მ ა ს რ უ ლ ე ბ ე ლ ი დირექტორის ბრძანების საფუძველზე, რიცხავს აპლიკანტებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და აფორმებს ხელშეკრულებას აპლიკანტთან/კანონიერ წარმომადგენელთან/მხარდამჭერთან.

8.12. ამ მუხლის 8.11 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულება გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს/მხარდამჭერს, ხოლო კოლეჯში ინახება ხელმოწერილი ხელშეკრლების ელექტრონული ვერსია ელექტრონულ პორტალში სტუდენტის პირად საქმეში.

მუხლი 9. დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსება (არსებობის შემთხვევაში)

9.1. დარჩენილი ვაკანტური ადგილების შემთხვევაში, კოლეჯი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, უფლებამოსილია გამოაცხადოს მიღება შემდეგი სასწავლო წლისათვის.

მუხლი 10. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროგრამაზე მიღება

10.1. ყველა პირისთვის ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით განათლების მიღების უზრუნველსაყოფად, წინამდებარე მუხლით განისაზღვრება პროგრამებზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ჩარიცხვის წესი.

10.2. ყველა პროგრამა, რომელზეც შესაბამის წელს გამოცხადებულია მიღება, ასევე, ხელმისაწვდომია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ზემოთ, გამოცხადებული ადგილების 15%- ის ფარგლებში, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.

10.3. პირს, რომელსაც მულტიდისციპლინური გუნდის მიერ დადასტურებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსი და დადგენილი წესით გავლილი აქვს პროფესიული ორიენტაცია, უფლება აქვს ჩარიცხვის მიზნით სარეგისტრაციო პორტალზე გააკეთოს შესაბამისი არჩევანი. სისტემა უზრუნველყოფს პირისათვის მხოლოდ იმ პროგრამების შეთავაზებას, რომელზე ჩარიცხვის მიზნითაც პირის მიმართ გაცემულია დადებითი რეკომენდაცია. აღნიშნული უნდა განხორციელდეს ამ წესის მე-5 მუხლის 5.2. პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში.

10.4. დაწესებულება განიხილავს შესაბამისი გუნდის მიერ მომზადებულ რეკომენდაციებს, თანდართულ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას პირის პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.

10.5. თუ პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა აღემატება პროგრამისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისთვის გათვალისწინებულ ადგილების რაოდენობას ჩარიცხვის დროს უპირატესობა ენიჭება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტს, რომელიც პირველად მოიპოვებს პროფესიული სტუდენტის სტატუსს. ამასთან, დაწესებულებას უფლება აქვს განსაზღვროს დამატებითი პირობები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

10.6. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროგრამებზე ჩარიცხვით მიზნით, დაწესებულება გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, მონაცემებს ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში და უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის ინფორმირებას ამ წესის მე-6მუხლის 6.2. პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული შერჩევის პერიოდში.

მუხლი 11. დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსება (არსებობის შემთხვევაში)

11.1 დარჩენილი თავისუფალი ადგილების შემთხვევაში, კოლეჯი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, უფლებამოსილია გამოაცხადოს მიღება შემდეგი სასწავლო წლისათვის.

მუხლი 12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის პროგრამაზე ჩარიცხვა

12.1. დაწესებულება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს პროგრამაზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და მათი წარდგენის ვადებს.

12.2. დაწესებულება, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგენის შემდეგ, პროგრამაზე სწავლის დაწყებამდე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით რიცხავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებს შესაბამის პროგრამაზე და აფორმებს ხელშეკრულებას ამ აპლიკანტთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან.

12.3. ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შესახებ მონაცემებს დაწესებულება ამ წესის მე-6 მუხლის 6.2. პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე ასახავს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მუხლი 13. შესარჩევი და სააპელაციო კომისიები

13.1. აპლიკანტთა შერჩევის მიზნით კოლეჯის აღმასრულებელი დირექტორის ინდივიდუალურ- ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით იქმნება შესარჩევი და სააპელაციო კომისიები.

13.2. შესარჩევი კომისია შედგება არანაკლებ 3 წევრისგან:

ა) კოლეჯის ადმინისტრაციის თანამშრომელი;

ბ) პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი/დარგის დამოუკიდებელი სპეციალისტი;

გ) პროფესიული განათლების მასწავლებელი-დარგის სპეციალისტი.

13.3. აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. კონკურსის შედეგები აისახება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

13.4. კომისია უნდა გამორიცხავდეს მხოლოდ დაწესებულების თანამშრომლების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებისას.

13.5. აპლიკანტი უფლებამოსილია გაასაჩივროს შესარჩევი კომისიის შეფასება, რისთვისაც კოლეჯის აღმასრულებელი დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით იქმნება სააპელაციო კომისია არაუგვიანეს შესარჩევი ეტაპის დასრულებამდე.

13.6. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში დაუშვებელია შედიოდეს ის წევრი, ვინც აპლიკანტთა შერჩევის მიზნით შექმნილი კომისიის წევრი იყო.

13.7. დაწესებულების აღმასრულებელი დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება:

ა) შესარჩევი და სააპელაციო კომისიების შემადგენლობა, მათი მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი

ბ) აპელაციის წესი და ვადები

გ) საჭიროების შემთხვევაში აპლიკანტის განსხვავებულ თარიღში შეფასების უზრუნველყოფის წესი და პირობები. დადასტურებული საპატიო მიზეზის შემთხვევაში დაწესებულება უფლებამოსილია განსაზღვროს დამატებითი თარიღი.

მუხლი 14. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება და აღდგენა

14.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შესაჩერებლად განიხილება დაწესებულებისა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

14.2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) პირადი/კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის განცხადება მიზეზის მითითებით (მიზეზის შინაარსი არ შეიძლება გახდეს პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებაზე უარის თქმის საფუძველი);

ბ) სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, როდესაც განაჩენის აღსრულება უნდა მოხდეს ისეთი ფორმით, რომელიც შეუთავსებელია სასწავლო პროცესთან.

გ) დაწესებულებასა და სასწავლო საწარმოს შორის ხელშეკრულების შეწყვეტა. პროფესიულ სტუდენტს სტატუსი შეუჩერდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი გარემოების დადგომიდან 1 თვის ვადაში ვერ უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის განახლებას.

14.3. პირადი განცხადების საფუძველზე პროფესიული სტუდენტის მიერ სტატუსის შეჩერების მოთხოვნა დაუშვებელია თუ განცხადების შეტანის მომენტისათვის არსებობს აღნიშნული პირისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწვეტის საფუძველი.

14.4. დაუშვებელია გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საქართველოდან წასული პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერება.

14.5. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება დაწესებულების სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში.

14.6. კოლეჯი უფლებამოსილია უცხოელი პროფესიული სტუდენტის მიერ ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევის პოლისის არფლობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს შეუჩეროს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

14.7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადაა 5 წელი.

14.8. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

14.9. პროფესიულმა სტუდენტმა/პროფესიული სტუდენტის მშობელმა/კანონიერი წარმომადგენელმა, რომელსაც სურს პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა, აღნიშნულის თაობაზე, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისთვის დადგენილი ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა წერილობით უნდა მიმართოს კოლეჯს ან მის უფლებამონაცვლეს.

14.10. კოლეჯის ლიკვიდაციის შემთხვევაში, როდესაც არ არის განსაზღვრული მისი უფლებამონაცვლე ან დაწესებულებამ დაკარგა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება და საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, პროფესიული

სტუდენტი მიიჩნევა პროფესიული სტუდენტის სტატუსშეჩერებულ პირად.
14.11. პროფესიული სტუდენტი, რომელსაც აღუდგება პროფესიული სტუდენტის სტატუსი უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე იმ ეტაპიდან, რომელზეც შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
14.12. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებასა და პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენასთან დაკავშირებით გამოიცემა კოლეჯის აღმასრულებელი დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი და მონაცემები შეიტანება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
14.13. თუ პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის იმავე დაწესებულებაში, რომელშიც პირს შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, დაწესებულება აღარ ახორციელებს იმ პროგრამას, რომელზეც პროფესიულ სტუდენტს შეუჩერდა სტატუსი, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნულიკვალიფიკაციების ჩარჩოს“ ერთი და იმავე, ან ქვედა დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მისანიჭებელი პროგრამის ფარგლებში.
14.14. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია კონკრეტულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება შესაბამის პროგრამაზე მომდევნო მიღებისათვის დაწესებულების მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

მუხლი 15. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

15.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტად განიხილება დაწესებულებისა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის უფლების გარეშე.
15.2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
ა) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისთვის დადგენილი ვადის გასვლა (თუ არ განხორციელდა მისი, როგორც პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა);
ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;
გ) პროფესიული სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება;
დ) კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
ე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების დადასტურებების გაცდენა;
ვ) დაწესებულების შინაგანაწესით და სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული შემთხვევები და სხვა საფუძვლები.
ზ) გარდაცვალება;
თ) დაწესებულებისათვის ყალბი დოკუმენტის, არასწორი ინფორმაციის წარდგენა, ან ისეთი დოკუმენტის, ინფორმაციის გონივრულ ვადაში წარუდგენლობა, რაც გავლენას იქონიებს

პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე;
ი) თვითდაფინანსების შემთხვევაში, ფინანსური დავალიანება.
15.3. დაწესებულება ვალდებულია პირისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საკითხის დაყენების დროს, სტატუსის შეწყვეტის საფუძვლის სპეციფიკის გათვალისწინებით, აცნობოს პირს (კანონიერი წარმომადგენელს/მხარდამჭერს) აღნიშნულის შესახებ, მოისმინოს მისი პოზიცია და მისცეს მას ახსნა-განმარტების წარმოდგენის უფლება.
15.4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემდეგ პირისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის საკითხი აღარ განიხილება.
15.5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.
15.6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ხდება დაწესებულების აღმასრულებელი დირექტორის დასაბუთებული ბრძანების საფუძველზე, რომლის გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღისა მონაცემები აისახება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში. გადაწყვეტილება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში მომქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 16. მობილობა

16.1. კოლეჯის მიერ მობილობა უნდა განხორციელდეს წინამდებარე დებულებისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბრის №198/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.
16.1[1]. გარე მობილობისა და შიდა მობილობის (შემდგომში – მობილობა) უფლება აქვს პირს, რომელმაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოიპოვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და რომელიც მობილობის განხორციელების მომენტისთვის არის პროფესიული საგანამანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტი.
16.2. მობილობის უფლების მქონე პირი:
ა) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტი, რომლის ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით;
ბ) პირი, რომელსაც მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
16.3. პროფესიულ სტუდენტთა მობილობის ადმინისტრირებას ახორციელებს კოლეჯის აღმასრულებელი დირექტორი.
16.4. მობილობის წესით მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განისაზღვრება კოლეჯის აღმასრულებელი დირექტორის ბრძანების საფუძველზე იმ მიმართულებებისა და პროგრამების მითითებით, რომელზეც მიზანშეწონილია პროფესიულ სტუდენტთა მიღება.
16.5. დაწესებულება უფლებამოსილია უარი განაცხადოს პირის მობილობით ჩარიცხვაზე, თუ:
ა) დაწესებულებას არ აქვს ვაკანტური ადგილები პროგრამისათვის განსაზღვრულიპროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში;
ბ) დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს მობილობის მსურველი პირის შემდგომ განათლებას მიმღები პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით;
გ) მობილობის მსურველი ვერ აკმაყოფილებს დაწესებულების მიერ

პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დადგენილ წინაპირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

16.6. გარე და შიდა მობილობის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია განხორციელდეს არაუგვიანეს შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან 2 კვირის განმავლობაში. აღნიშნული წესიდან გამონაკლისის თაობაზე გადაწყვეტილებას შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით იღებს კოლეჯის აღმასრულებელი დირექტორი.

16.7. მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტი/კანონიერი წარმომადგენელი/ მხარდამჭერი წერილობით მიმართავს კოლეჯს შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის თაობაზე. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს იმ დოკუმენტის ასლი, რომლის საფუძველზეც პირი ჩაირიცხა საგანმანათლებლო დაწესებულებაში და პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაციის ასლები. კოლეჯის მიერ შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს დამატებითი დოკუმენტაცია, მათ შორის სტუდენტის სტატუსის, სტატუსის შეჩერებისა და მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ. განცხადების რეგისტრაციისას მობილობის მსურველს ეცნობება და განესაზღვრება ვადა აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოსადგენად, დოკუმენტაციის დადგენილ ვადაში წარუდგენლობა პირისათვის მობილობაზე უარის თქმის საფუძველია.

16.8. მობილობის მსურველთა განცხადებების განხილვის მიზნით, კოლეჯის აღმასრულებელი დირექტორის ბრძანებით იქმნება შესაბამისი კომისია, რომელიც განიხილავს მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ წარდგენილ დოკუმენტაციას და შესაბამის რეკომენდაციას უწევს კოლეჯის დირექტორს პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ.

16.9. პროფესიული სტუდენტის მობილობის გზით კოლეჯში ჩარიცხვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის აღმასრულებელი დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით, რომლის გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღისა მონაცემები აისახება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

16.10. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსადა სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ ერთი და იმავე, ან ქვედა დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამის ფარგლებში.

16.11. მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ პროგრამაზე, რომელზე დაშვების წინაპირობასაც ის აკმაყოფილებს.

16.12. დაწესებულება ადგენს მის მიერ შეთავაზებულ პროგრამასთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას საქართველოს კანონმდებლობითა დადგენილი წესის შესაბამისად.

16.13. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, აგრეთვე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე,

რომელზედაც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით წინამდებარე წესის შესაბამისად. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია მოახდინოს პროფესიული სტუდენტის ინფორმირება აღნიშნულის შესახებ.

მუხლი 17. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

17.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი ახორციელებს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან უშუალო კოორდინაციისა და კომუნიკაციის საფუძველზე, პროფესიულ სტუდენტთა საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპით.

17.2. კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი პროფესიულ სტუნდენტთან შეთანხმებით უზრუნველყოფს მის გადაყვანას „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწა ვლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ ერთი და იმავე, ან ქვედა დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამის ფარგლებში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის არარსებობის შემთხვევაში, კოლეჯი პროფესიულ სტუნდენტთან შეთანხმებით უზრუნველყოფს მის მობილობას იმ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის საერთო პირობების შესახებ.

მუხლი 18. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება

პროფესიული სტუდენტის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება ხორციელდება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 19. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და სასწავლო პროცესის ორგანიზება

19.1. კოლეჯში სწავლება მიმდინარეობს კოლეჯის აღმასრულებელი დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად.

19.2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის აღმასრულებელი დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით.

19.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული მოდულის ან მისი ნაწილის შეცვლის, მოდულის დამატების ან ამოღების, პროგრამის სასწავლ გეგმასა და მატერიალური რესურსებში ცვლილების შემთხვევაში გამოიცემა ბრძანება პროგრამებში

შესაბამისი ცვლილებების შეტანის თაობაზე.

19.4. პროფესიული სტუდენტის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განისაზღვრება შესაბამისი პროგრამით.

19.5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყების დრო და არდადეგები განისაზღვრება კოლეჯის აღმასრულებელი დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით.

19.6. პროფესიული სტუდენტის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში (დატვირთვა) მოიცავს არაუმეტეს 8 საკონტაქტო საათს (აკადემიური საათი - 40 წუთი), რომელთა შორის შესვენება 10 წუთია.

19.7. სასწავლო კვირაში სწავლება მიმდინარეობს სალექციო განრიგის მიხედვით,რომელიც შედგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმების შესაბამისად.

19.8. სალექციო განრიგი/ცხრილი მოიცავს შემდეგ მონაცემებს:

ა) მოდულის დასახელება;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის განმახორციელებლის სახელი, გვარი;

გ) ლექციის დაწყებისა და დასრულების დრო.

19.9. პროფესიულ სტუდენტთა ლექციაზე დასწრების აღრიცხვის მიზნით კოლეჯში იწარმოება ელექტრონული ჟურნალი.

19.10. კოლეჯი ვალდებულია სასწავლო პროცესში არ დაუშვას ის უცხოელი და მოქალაქეობის არმქონე პროფესიული სტუდენტი, რომელიც არ ფლობს ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის სადაზღვევო პოლისს.

მუხლი 20. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

20.1. საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალურ საჭიროებას მორგებული სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს.

20.2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წარმოადგენს სასწავლო კურსების ერთობლიობას, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტის) ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს.

20.3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იძლევა საშუალებას პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებულად მოხდეს დროის ყოველი მონაკვეთის დაგეგმვა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათის გათვალისწინებით.

20.4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული პროფესიული სტუდენტის/სტუდენტებისათვის. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური გეგმის შემუშავების პროცესში.

20.5. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში მითითებული უნდა იყოს: მოდულის/მოდულების სტატუსი; მოდულის/მოდულების დასახელება; მოდულზე დაშვების წინაპირობა; კრედიტების

რაოდენობა; სასწავლო პროცესის ხანგრძლივობა და კრედიტების გადანაწილება აღნიშნულ პერიოდზე; შეფასების ფორმები და პირობები; მოდულის განხორციელებისათვის საჭირო რესურსები და სხვა.

20.6. ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის საჭიროება წარმოიქმნება:

ა) იმ შემთხვევაში, როდესაც დაწესებულებაში სწავლობს სსსმ/შშმ პირი, რომელიც შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ვერ აღწევს სწავლის შედეგების დადასტურებას. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესშიშესაძლოა ჩართული იყოს სსსმ/შშმ პირის კანონიერი წარმომადგენელი/მხარდამჭერი;

ბ) მობილობის შემთხვევაში პროგრამის სასწავლო გეგმის სპეციფიკის გათვალისწინებით;

გ) სტატუსშეჩერებული სტუდენტის მიერ სტატუსის აღდგენის შემთხვევაში;

დ) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში ან პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად.

ე) ფორმალური ან არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღებული განათლების აღიარების შემთხვევაში.

20.7. წინამდებარე მუხლის 20.6 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევასთან დაკავშირებით პროფესიული განათლების მასწავლებელი მიმართავს დაწესებულების დირექტორს, რის შემდგომაც სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ ხორციელდება სასწავლო პროცესზე დასწრება - დაკვირვების მიზნით, თუ ფაქტი დადასტურდა, სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის სამსახურიპროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიულ განათლების მასწავლებელთან და შესაბამისი სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტთან/წარმომადგენელთან ერთად 5 სამუშაო დღეში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

20.8. სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისათვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, წარმოადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და შესაბამისად, აზუსტებს სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის და მის ფარგლებში სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან მიმართებით, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.

20.9. წინამდებარე მუხლის 20.6. პუნქტის ,,ბ", ,,გ" და ,,დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, პროფესიული სტუდენტის აქტიური მონაწილეობით, ხდება ინდივიდუალური საჭიროების/საჭიროებების დადგენა და

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა.
20.10. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის წარდგინების საფუძველზე ბრძანებით ამტკიცებს დაწესებულების აღმასრულებელი დირექტორი.
20.11. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში დაწესებულების აღმასრულებელი დირექტორის ბრძანების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს ცვლილებები.
20.12. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პრაქტიკაში განხორციელებას და მის მიმდინარეობას მუდმივ კონტროლს უწევს და აფასებს დაწესებულებაში შექმნილი შიდა მხარდაჭერის ჯგუფი.

მუხლი 21. სწავლების ფორმა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

21.1. კოლეჯში პროფესიული პროგრამა ხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით.
21.2. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება გულისხმობს პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი სწავლის შედეგის მიღწევას რეალურ ან/და იმიტირებულ სამუშაო გარემოში.
21.3. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმები:
ა) სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება გულისხმობს პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი სწავლის შედეგის მიღწევას რეალურ ან/და იმიტირებულ სამუშაო გარემოში.
ბ) პროგრამით განსაზღვრული ზოგიერთი სწავლის შედეგის რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევა შესაძლებელია დუალური ან კოოპერაციული სწავლებით.
გ) პროგრამით განსაზღვრული ზოგიერთი სწავლის შედეგის იმიტირებულ სამუშაო გარემოში მიღწევა შესაძლებელია, განხორციელდეს დაწესებულებაში.
21.4. კოოპერაციული სწავლება - კოოპერაციული სწავლება გულისხმობს დაწესებულებისა და სუბიექტის (მეწარმე სუბიექტი/იურიდიულ პირი ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის/ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირი) მიერ პროგრამის ერთობლივად განხორციელებას, როდესაც შესაბამისი პროგრამის დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების არაუმეტეს 50%-ის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევა ხდება რეალურ სამუშაო გარემოში.
21.5. პროფესიული სტუდენტის შეფასება მის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ფლობის დადასტურების პროცესია. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
21.6. განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის შეფასებაა, რომელიც აკონტროლებს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას და მისი მიზანია პროფესიული სტუდენტის დახმარება უკუკავშირის მიწოდების გზით. განმავითარებელი შეფასება საკონტაქტო საათის აქტივობათა განუყოფელი ნაწილია და ის ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლის გადაწყვეტილების შესაბამისად.
21.7. განმსაზღვრელი შეფასება ემსახურება მიღწეული სწავლის შედეგის ან შედეგების ერთობლიობის საბოლოო შეფასებას მოდულით განსაზღვრული შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად. ის ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციის დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
21.8. პროფესიული სტუდენტისათვის კრედიტის მინიჭება ხორციელდება მხოლოდ სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.
21.9. სამუშაოზე დაფუძნებული პროგრამის ფარგლებში, პროფესიული სტუდენტის შეფასებისას, გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების მიზნით, ხოლო მიმდინარე და შუალედური შეფასებისას გამოიყენება განმავითარებელი შეფასება.
21.10. შუალედური შეფასება ტარდება პროგრამის განხორციელების შუა ეტაპზე და თემატიკა ეხება მხოლოდ შუალედური შეფასების ჩატარებამდე მიღწეულ სწავლის შედეგებს. შუალედური შეფასება სავალდებულოა.
21.11. შუალედური შეფასება ტარდება დაწესებულების აღმასრულებელი დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადებში, რომელიც გამოიცემა შუალედური შეფასების ჩატარებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე, როდესაც პროფესიულ სტუდენტს გავლილი ექნება მოდულების შესაბამისი სწავლის შედეგების არანაკლებ 50% და არაუმეტეს 60%. შუალედური შეფასების თემატიკა ეხება მხოლოდ შუალედური შეფასების ჩატარებამდე მიღწეულ სწავლის შედეგებს.
21.12. ყოველი მოდულის დასაწყისში, მოდულის განმახორციელებელი პირი ასახავს ელექტრონულ პორტალში შედეგების დადასტურების განრიგს. ამასთანავე შეფასებამდე 3 სამუშაო დღით ადრე შესაბამისი პროფესიული განათლების მასწავლებელი ახორციელებს პროფესიული სტუდენტების დეტალურ ინფორმირებას შეფასების პროცედურისა და ინსტრუმენტის/ინსტრუმენტების შესახებ.
21.13. შეფასების შედეგებთან დაკავშირებით, სტუდენტებისთვის უკუკავშირის მიცემა ხორციელდება ინდივიდუალურად. შესაძლებელია, ზოგადი მიგნებები და უკუკავშირი მასწავლებელმა ჯგუფურად გაუზიაროს პროფესიულ სტუდენტებს.
21.14. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოდულის/სწავლის რომელიმე შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, შესაძლებლობა აქვს ამ მოდულის (რომელიც არის სხვა მოდულის წინაპირობა) სწავლის დასრულებიდან, მომდევნო მოდულის დაწყებამდე ნებისმიერ დროს განმეორებით ორჯერ დაადასტუროს შესაბამისი სწავლისშედეგი. აღნიშნულ პერიოდში პროფესიული სტუდენტის მიერ 2 (ორი) მცდელობის მიუხედავად მოდულის/სწავლის შესაბამისი შედეგის დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მან შესაბამისი მოდული/სწავლის შედეგი უნდა გაიაროს ხელახლა.
21.15. თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდული არ არის სხვა მოდულის წინაპირობა, აღნიშნული მოდულის/სწავლის შედეგის დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სწავლის შედეგი დაადასტუროს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე .
21.16. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მოდულის დასრულებამდე, დაუდასტურებელი სწავლის შედეგის დადასტურების თარიღი ზეპირსიტყვიერად შეათანხმოს პროფესიული განათლების მასწავლებელთან.
21.17. შესრულების მტკიცებულება წარმოადგენს შესაფასებელი პირის მიერ სწავლის შედეგის

მიღწევის მატერიალური ან ციფრული სახით დადასტურებას. ყველა სწავლის შედეგი დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებით.

21.18. სწავლის შედეგი დადასტურებულად ითვლება, თუ შესაფასებელი პირი დადებითად შეფასდა შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.

21.19. სწავლის შედეგების დადასტურება შესაძლებელია ჩატარდეს, როგორც ყოველი სწავლის შედეგის ბოლოს, ასევე შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება.

21.20. პროფესიული სტუდენტი, რომელიც სრულად ვერ ითვისებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულს და წყვეტს სწავლას, უფლებამოსილია, მოითხოვოს სერტიფიკატი (დანართი 1), განვლილი მოდულების/სწავლის შედეგების შესახებ.

21.21. სამუშაოზე დაფუძნებული პროგრამის ფარგლებში, პროფესიული სტუდენტის შეფასებისას, გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების მიზნით. განმავითარებელი შეფასების ფარგლებში გამოიყენება შუალედური შეფასება, რომელიც საშუალებას იძლევა, მოხდეს დაკვირვება პროფესიული სტუდენტის პროგრესზე პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევასთან დაკავშირებით და დროულად იქნას უზრუნველყოფილი ჩარევა სწავლა-სწავლების პროცესში.

21.22. შუალედური შეფასების ფარგლებში სტუდენტი იღებს რეკომენდაციებს და რჩევებს სწავლის შედეგების მიღწევასთან დაკავშირებით.

21.23.

21.24.

21.25. შუალედური შეფასება შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ტიპის დავალებებით:

ა) კომპლექსური დავალება;

ბ) პრაქტიკული დავალება;

გ) პრეზენტაცია;

დ) პორტფოლიოს პრეზენტაცია;

ე) დასრულებული ან მიმდინარე პროექტი;

ვ) პროფესიული სტუდენტის მიერ საკუთარი სწავლის შედეგების ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის მომზადების გზით;

ზ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სხვა ტიპის დავალება/დავალებები.

21.26. შუალედური შეფასების სისტემა ეფუძნება კოლეჯის შეფასების ძირითად პრინციპებს, კერძოდ, შედეგის დადასტურება, შედეგის ვერ დადასტურება.

21.27. შუალედურ შეფასების დადასტურება არის საკვალიფიკაციო გამოცდაზე პროფესიული სტუდენტების დაშვების წინაპირობა.

21.28. საპატიო მიზეზით შუალედურ შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთვევაში, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია კოლეჯს წარუდგინოს იმ ობიექტურ გარემოებათა დამადასტურებელი დოკუმენტი, რამაც გამოიწვია შუალედურ შეფასებაზე გამოუცხადებლობა. ობიექტურ გარემოებად განიხილება ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, ოჯახის წევრის გარდაცვალება და სხვ.). წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე კოლეჯის აღმასრულებელი დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი

აქტით ინიშნება დამატებითი შეფასების თარიღი. დამატებითი შუალედური შეფასება შეიძლება დაინიშნოს შუალედური შეფასებიდან არაუგვიანეს 2 კვირისა.

21.29. საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის დადასტურება და შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა.

21.30. პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, რომლის მიზანია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების შესრულების პროცესში კომპლექსურად გამოყენების უნარის შეფასება.

21.31. პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას შუალედური შეფასების საკითხებზე ახდენს სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის სამსახური.

21.32. შუალედური შეფასების ჩატარების მიზნით, კოლეჯის აღმასრულებელი დირექტორის ბრძანებით იქმნება კომისია/კომისიები.

21.33. კომისია შედგება არანაკლებ 3 წევრისა. კომისიის შემადგენლობაში შედიან პროფესიული განათლების მასწავლებლებლები, რომლებიც პროფესიულ სტუდენტს აფასებენ წინასწარ შემუშვებული კრიტერიუმით.

21.34. შუალედური შეფასება პროფესიული სტუდენტისთვის არ წარმოშობს არანაირ სამართლებრივ შედეგებს. პროფესიული სტუდენტისთვის სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს მხოლოდ შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის მიუღებლობა.

21.35. სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას შუალედური შეფასების საკითხებზე, კერძოდ, ჩატარების პერიოდი, მნიშვნელობა, შეფასებაში მონაწილეობის მიუღებლობის შედეგები, შეფასების წესი და სხვა. პროფესიული სტუდენტების ინფორმირება უნდა მოხდეს შუალედური შეფასების ჩატარებამდე გონივრული ვადით ადრე, არაუგვიანეს, ბრძანების გამოცემიდან 3 სამუშო დღის ვადაში.

21.36. საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება კოლეჯის აღმასრულებელი დირექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიის წინაშე.

21.37. საკვალიფიკაციო კომისიის წევრების შემადგენლობა განსაზღვრულია არანაკლებ 3 წევრით.

21.38. საკვალიფიკაციო კომისიის წევრი შეიძლება იყოს შესაბამისი დარგის პროფესიული განათლების მასწავლებელი, ასევე შესაბამისი დარგის პრაქტიკული კომპეტენციის მქონე მოწვეული პირი.

21.39. საკვალიფიკაციო გამოცდა ფასდება შემდეგი წესით:

ა) შედეგი დადასტურდა;

ბ) შედეგი ვერ დადასტურდა.

მუხლი 22. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების წესი

22.1. მოდულის ყველა შედეგის შეფასება პროფესიულ სტუდენტს აესახება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში 5 დღის ვადაში, გარდა საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული პროექტის/საკვალიფიკაციო გამოცდისა.

22.2. საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული პროექტის/საკვალიფიკაციო გამოცდის შეფასების შედეგები პროფესიულ სტუდენტს აესახება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში 3 დღის ვადაში.

22.3. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია შედეგების გაცნობიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, წერილობითი საჩივარი წარადგინოს კოლეჯის კანცელარიაში.

22.4. აღმასრულებელი დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება სააპელაციო კომისია და განისაზღვრება საკითხის განხილვის ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ერთ კვირას. განხილვის დაწყების შესახებ დაუყონებლივ ეცნობება საჩივრის ავტორს და განემარტება მისი უფლებები და მოვალეობები აღნიშნული განხილვის ფარგლებში.

22.5. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში შედიან: აღმასრულებელი დირექტორი, კოლეჯის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, პროფესიული სტუდენტი (პროფესიული სტუდენტი არ უნდა იყოს სააპელაციო განაცხადის წარმდგენი პროფესიული სტუდენტის თანაჯგუფელი), დარგის სპეციალისტი - პროფესიული განათლების მასწავლებელ(ებ)ი (პროფესიული განათლების მასწავლებლის შემთხვევაში უნდა გამოირიცხოს ინტერესთაკონფლიქტი).

22.6. კომისია პროფესიული სტუდენტის განცხადების სრულყოფილად და სამართლიანად განხილვის მიზნით გადახედავს და აფასებს შესრულების მტკიცებულებას ან თავიდან აფასებს პროფესიულ სტუდენტს განმსაზღვრელი შეფასებით, რომლის შედეგების საფუძველზე საოქმო დადგენილების სახით აფორმებს პასუხს პროფესიული სტუდენტის განცხადებაზე. აღნიშნული პასუხი პროფესიულ სტუდენტს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

22.7. სააპელაციო კომისია ვალდებულია პროფესიულ სტუდენტს დაუსაბუთოს მიღებული შეფასების ობიექტურობა, უფლებამოსილია პროფესიული სტუდენტის შეფასება შეცვალოს (პროფესიული სტუდენტის სასარგებლოდ) ან დატოვოს ძალაში, თუ პროფესიული სტუდენტის მიერ წარდგენილი საჩივარი უსაფუძვლო ან დაუსაბუთებელია.

22.8. პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სააპელაციო კომისია ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის სახელზე წარადგენს სამსახურებრივ ბარათს შეფასების კორექტირების თაობაზე შესაბამის უწყისში.

22.9. ზოგადი ხასიათის წერილობითი საჩივარი, რომელშიც არგუმენტირებულად და მკაფიოდ არ იქნება განსაზღვრული თუ რას აპროტესტებს პროფესიული სტუდენტი, არ განიხილება. გადაწყვეტილება პროტესტის განუხილველად დატოვების შესახებ საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

22.10. პროტესტის განხილვის შედეგი პროფესიული სტუდენტისთვის ცნობილი გახდება წერილობითი საჩივრის წარდგენიდან ორი კვირის ვადაში.

22.11. საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული პროექტის/საკვალიფიკაციო გამოცდის უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს შეფასების გასაჩივრების უფლებით, შეფასების გაცნობიდან 1 (ერთი) კვირის განმავლობაში.

მუხლი 23. კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება

23.1. კალენდარული (თემატური) გეგმა წარმოადგენს კონკრეტული მოდულის განხორციელების წინასწარ დაგეგმვას დროში.

23.2. კალენდარული გეგმა ხელს უწყობს სასწავლო პროცესის დაგეგმვას საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად.

23.3. კალენდარული გეგმა წარმოადგენს მნიშვნელოვან დოკუმენტს, კონკრეტული მოდულის განხორცილების პროცესის შეფასების და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების ინიცირებისათვის.

23.4. კალენდარული გეგმის ფორმა შემუშავებულია სასწავლო პროცესის სამსახურის მიერ და ჩაშენებულია ელექტრონულ პორტალში, ხოლო აწარმოებს მას მოდულის განმახორციელებელი - (აღნიშნული პუნქტი ძალაში შედის 2025 წლის1 სექტემბრიდან);

23.4[1] კალენდარული გეგმის ფორმა შემუშავებულია სასწავლო პროცესის სამსახურის მიერ, რომელიც მიეწოდება განმახორციელებელს და შევსებული ფორმით უბრუნდება სასწავლო პროცესის სამსახურს - (აღნიშნულ პუნქტს ძალა დაეკარგება 2025 წლის 1 სექტემბრიდან);

23.5. შეფასების ინსტრუმენტის შექმნის ვალდებულება აქვს მოდულის განმახორციელებელ პირს/პირებს.

23.6. სავალდებულოა, რომ შეფასების მიმართულება შეესაბამებოდეს მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგის შეფასების მიმართულებას (გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება ან პრაქტიკული დავალება დაკვირვებით).

23.7. შეფასების ინსტრუმენტი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებას;

ბ) მოდულის სახელწოდებას და სარეგისტრაციო ნომერს;

გ) მოდულის განმახორციელებლის სახელსა და გვარს;

დ) შეფასების ჩატარების თარიღს;

ე) სწავლის შედეგის ნომერს ან დასახელებას;

ვ) შესრულების კრიტერიუმებსა და ინსტრუქტაჟს (ასეთის საჭიროების შემთხვევაში);

ზ) შეფასების მიმართულებას;

თ) შესრულების მტკიცებულების სახეს;

ი) აპელაციის პირობებს;

კ) ხარვეზის დასაშვებ ნორმას;

ლ) განმეორებითი შეფასების პირობებს.

23.8. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასების ინსტრუმენტის შექმნისას იყენებს კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო მოდულს. შეფასების ინსტრუმენტს (მოდულის, შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდისთვის) შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი და მოდულის დაწყებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე ელექტრონული ფოსტის საშუალებით ან მატერიალური სახით შესათანხმებლად წარუდგენს სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, რომელიც ვალიდაციის ჯგუფთან ერთად განიხილავს მის ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობას, ობიექტურობასა და ვალიდაციის შემთხვევაში ადასტურებს მას. დაუშვებელია სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის სამსახურთან შეუთანხმებელი შეფასების ინსტრუმენტების

გამოყენება.
23.9. შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია ხორციელდება ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით დამტკიცებული ვალიდაციის ჯგუფის მიერ. ვალიდაციის გავლის შემდეგ, შეფასების ინსტრუმენტი უბრუნდება პროფესიულ მასწავლებელს პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისათვის.
23.10. ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის მიზნით, კონკრეტული შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციაში არ მონაწილეობს ის პირი, რომელიც ჩართული იყო აღნიშნული ინსტრუმენტის შემუშავებაში.

მუხლი 24. შეფასების უწყისი

24.1. შეფასების უწყისი ჩაშენებულია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში და ფორმირდება სტუდენტების ნამუშევრების გასწორებისთანავე. შეფასების საბოლოო უწყისი გენერირდება და აისახება სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან ამავე ელექტრონულ სისტემაში.

მუხლი 25. ფორმალური განათლების აღიარება

25.1. ფორმალური განათლების აღიარებას ახდენს კოლეჯი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესისა“ და წინმდებარე წესის შესაბამისად.
25.2. ფორმალური განათლების აღიარება დასაშვებია, თუ:
ა) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული და მიღწეული სწავლის შედეგები ერთნაირადაა ფორმულირებული ან ფორმულირებაში არსებობს მცირედი განსხვავება, რომელიც გამოწვეულია ენობრივი თავისებურებით ან/და სწავლის შედეგების განსხვავებული სტრუქტურირებით და ხელს არ უშლის მათ იდენტურად მიჩნევას. ამასთან, სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით ერთმანეთთან თავსებადია;
ბ) მიღწეული სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით აღემატება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.
25.3. ფორმალური განათლების აღიარების მსურველი (შემდგომში – განმცხადებელი) უფლებამოსილია, მოითხოვოს ფორმალური განათლების აღიარება, მხოლოდ მის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ. თუ პირის მიერ გავლილი მოდულის კრედიტები იდენტურია დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულისა, მისი აღიარება ხდება ავტომატურად.
25.4. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა შეადგენს 1 თვეს განცხადების წარმოებაში მიღების დღიდან. ფორმალური განაცხადის წარმოდგენის პერიოდია სწავლის დაწყებიდან 2 კვირა.

25.5. ფორმალური განათლების აღიარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) დაწესებულებისთვის განცხადების წარდგენა;

ბ) კომისიის შექმნა კოლეჯის აღმასრულებელი დირექტორის ბრძანების საფუძველზე;

გ) კომისიის მიერ განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის განხილვა/ შეფასება;

დ) კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება;

ე) დაწესებულების მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

25.6. კოლეჯი უზრუნველყოფს ფორმალური განათლების აღიარების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომობას:

ა) წინამდებარე წესი განთავსებულია საჯაროდ, კოლეჯის ვებ-გვერდზე;

ბ) პირის მიერ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებისთანავე დაწვრილებით განუმარტავს ფორმალური განათლების აღიარების შესაძლებლობებს, აღნიშნულის საფუძველს, შესაბამისი პროცედურას და წესებს.

25.7. განმცხადებლის მიერ დაწესებულებისათვის წერილობითი ფორმით წარდგენილი განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) დაწესებულების დასახელებას;

ბ) განმცხადებლის სახელსა და გვარს, ფაქტობრივ და იურიდიულ მისამართს;

გ) განმცხადებლის ელექტრონული ფოსტის მისამართს;

დ) განმცხადებლის ტელეფონის ნომერს;

ე) განცხადების შევსების ადგილსა და თარიღს;

ვ) მოთხოვნას, კერძოდ, მითითებას იმ სწავლის შედეგზე/შედეგებზე, რომლის აღიარებასაც ითხოვს განმცხადებელი;

ზ) განმცხადებლის ხელმოწერას;

თ) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას.

25.8. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას უნდა ერთვოდეს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) თუ აღიარების მსურველი წარმოდგენილია წარმომადგენლით, უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ფორმალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი და მისი დანართი (ასეთის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში)/უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი – დიპლომი და მისი დანართი/ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი) ან მისი ნოტარიულად დამოწმებული ასლი, ან ცნობა, რომელიც ადასტურებს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეულ კონკრეტულ სწავლის შედეგებს, გარდა ამ მუხლის 25.10 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

25.9. ამ მუხლის 25.7 პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას შესაძლებელია ერთოდეს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დასადგენად დაწესებულების/პროფესიული მომზადების ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი იურიდიული პირის მიერ გაცემული ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ასაღიარებელი სწავლის შედეგის მიღწევის თაობაზე, გარდა ამ მუხლის 25.10. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

25.10. დაწესებულება არ არის უფლებამოსილი განმცხადებელს მოსთხოვოს ამ მუხლის 25.8- ე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტითა და 25.9-ე პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია იმ სწავლის შედეგების აღიარების ნაწილში, რომელიც მიღწეულ იქნა ამავე დაწესებულების მიერ განხორციელებული ფორმალური განათლების ფარგლებში.

25.11. დაწესებულება 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას ამ მუხლის მოთხოვნებთან. თუ განმცხადებელი დაწესებულებას არ წარუდგენს საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელიმე დოკუმენტს, დაწესებულება განმცხადებელს განუსაზღვრავს არანაკლებ 5 და არაუმეტეს 15 სამუშაო დღის ვადას, რომლის განმავლობაშიც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

25.12. დაწესებულების მიერ ამ მუხლის 25.11-ე პუნქტით განსაზღვრულ ვადაში განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება.

25.13. თუ დაწესებულების მიერ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს, დაწესებულება უფლებამოსილია გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

25.14. განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ წინამდებარე მუხლის 25.5-ე პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე შექმნილი კომისია უზრუნველყოფს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებას.

25.15. კომისია შედგება არანაკლებ 3 წევრისგან.

25.16. კომისიის შემადგენლობაში შედის:

ა) შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი პირი;

ბ) სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

25.17. კოლეჯს უფლება აქვს განმცხადებელი მოიწვიოს კომისიის განხილვაზე, თუ მისი მონაწილეობა აუცილებელია წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.

25.18. კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს თავისი შემადგენლობიდან ირჩევენ კომისიის წევრები. კომისია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

25.19. კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა უმრავლესობა. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

25.20. კომისიის გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

25.21. კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს განმცხადებელთან არსებული ინტერესთა კონფლიქტისა და თვითაცილების შესახებ, შესაბამისი საფუძვლის მითითებით. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი გარემოების არსებობა.

25.22. კომისია კენჭს უყრის თვითაცილების/აცილების შესახებ საკითხს. გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას არ იღებს კომისიის ის წევრი, რომელმაც დააყენა თვითაცილება/რომლის მიმართაც დაყენებულია აცილება. კომისიის წევრი თვითაცილებულად/აცილებულად ითვლება კომისიის მიერ შესაბამისის გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.

25.23. კომისია უზრუნველყოფს წარმოდგენილი განაცხადისა და დოკუმენტაციის შესწავლას იმის დასადგენად, არსებობს თუ არა წინამდებარე მუხლის 25.2-ე პუნქტით გათვალისწინებული აღიარების საფუძვლები. იგი არ არის უფლებამოსილი განმცხადებლის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურების მიზნით განახორციელოს მისი შეფასება.

25.24. კომისია წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარების შესახებ;

ბ) ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.

25.25. განმცხადებელს აღიარების გზით კრედიტი ენიჭება მოდულით/სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგის აღიარების შემთხვევაში. სწავლის შედეგების აღიარების შემთხვევაში პირს ენიჭება იმ პროგრამით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა, რომლის მიზნებისთვისაც მოხდა სწავლის შედეგების აღიარება.

25.26. კომისიის გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული. მასში მითითებული უნდა იყოს ის სწავლის შედეგი/შედეგები, რომელთა აღიარებაც განხორციელდა ან რომელთა აღიარებაზეც განმცხადებელს ეთქვა უარი შესაბამისი დასაბუთებით.

25.27. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე დაწესებულების აღმასრულებელი დირექტორის მიერ გამოიცემა ბრძანება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) დაწესებულების დასახელება;ბ) განმცხადებლის ვინაობა;

გ) იმ საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის/სასწავლო კურსის სახელწოდება, რომლის სწავლის შედეგები უღიარდა/სწავლის შედეგები არ უღიარდა პროფესიულ სტუდენტს;

დ) აღიარებული კრედიტების რაოდენობა;

ე) გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ადგილი;ვ) გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ვადა.

25.28. გადაწყვეტილება კოლეჯის მიერ აღმასრულებელი დირექტორის ბრძანების გამოცემიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ეცნობება პირს.

25.29. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გაცნობიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში აპელაციის წესი ერთჯერადად გაასაჩივროს აღნიშნული გადაწყვეტილება აღმასრულებელი დირექტორის სახელზე წარდგენილი პირადი/კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის საჩივრის საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში საჩივრის რეგისტრაციიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში საქმისწარმოების მენეჯერი ამოწმებს აღნიშნული საჩივრის შესაბამისობას საქართველოს კანონით „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ დადგენილ მოთხოვნებთან (თუ კი საჩივარი შეუსაბამოა აღნიშნულ მოთხოვნებთან, საქმის წარმოების მენეჯერი წერილობით განუსაზღვრავს საჩივრის ავტორს 5 დღის ვადას ხარვეზის გამოსწორებისათვის), რის შემდგომაც აღმასრულებელი დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება სააპელაციო კომისია და განისაზღვრება საკითხის განხილვის ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ერთ კვირას. განხილვის დაწყების შესახებ დაუყონებლივ ეცნობება საჩივრის ავტორს და განემარტება მისი უფლებები და მოვალეობები აღნიშნული განხილვის ფარგლებში.

25.30. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში შედიან: აღმასრულებელი დირექტორი, დარგის სპეციალისტი

- პროფესიული განათლების მასწავლებელი/მასწავლებლები. პროფესიული განათლების მასწავლებლის შემთხვევაში უნდა გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი. კომისია საოქმო დადგენილების სახით აფორმებს პასუხს პროფესიული სტუდენტის საჩივარზე. აღნიშნული პასუხი პროფესიულ სტუდენტს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ ფოსტის ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

25.31. ფორმალური განათლების აღიარების შედეგები და წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტები აისახება სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ წარმოებულ შესაბამის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დაწესებულების რეესტრის წარმოების სპეციალისტის მიერ.

25.32. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კვალიფიკაციის ან უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება ხდება სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

25.33. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტის მქონე პირის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებისათვის წინამდებარე წესით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე.

25.34. პირის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების აღიარებას მათი სამოქმედო ტერიტორიების მიხედვით, ახდენს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო ან ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შექმნილი დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 26. არაფორმალური განათლების აღიარება

26.1. არაფორმალური განათლების მქონე პირის ცოდნისა და უნარების შემოწმებისა და შესაბამისი დარგის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ კომპეტენციებთან მისი შედარების გზით შესაძლებელია არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება.

26.2. არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურები განისაზღვრება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესებით.

26.3. კოლეჯის მიერ არაფორმალური განათლების აღიარება მოხდება იმ დროისათვის არსებული სამართლებრივი რეგულაციების შესაბამისად.

მუხლი 27. კვალიფიკაციის მინიჭება

27.1. კვალიფიკაცია არის დაწესებულების მიერ სწავლის შედეგის მიღწევის შეფასებისა და დადასტურების ფორმალური შედეგი, რომელიც დასტურდება პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით – დიპლომით (დანართი 2).

27.2. კვალიფიკაციის მოსაპოვებლად აღიარებულ უნდა იქნას პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგი, დადასტურებული უნდა ჰქონდეს შუალედური შეფასება და წარმატებით უნდა

ჰქონდეს ჩაბარებული საკვალიფიკაციო გამოცდა წინამდებარე დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად.

27.3. პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგის დადასტურების, შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის მიღების და საკვალიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ, სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ წარდგენილი სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე აღმასრულებელი დირექტორი გამოსცემს ბრძანებას კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე.

27.4. საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შედეგად პირს ენიჭება შესაბამისად ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3 დონის კვალიფიკაცია.

მუხლი 28. დიპლომის გაცემა

28.1. კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ დაწესებულების აღმასრულებელი დირექტორის ბრძანების საფუძველზე გაიცემა შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი.

28.2. პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მოთხოვნის შემთხვევაში დაწესებულების აღმასრულებელი დირექტორის ბრძანების საფუძველზე მიეცემა სერტიფიკატი, რომლითაც დასტურდება მოდულით/მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა. მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების სრულად დაუდასტურებლობისას დაწესებულება, მოთხოვნის შემთხვევაში, გასცემს ცნობას აღნიშნული მოდულის ფარგლებში დადასტურებული სწავლის შედეგების შესახებ.

28.3. დიპლომის/სერტიფიკატის დუბლიკატი გაიცემა იმ პირზე, რომლის სერტიფიკატი აღარ არსებობს ან გახდა გამოსაყენებლად უვარგისი.

28.4. დიპლომის/ დიპლომის დუბლიკატის, და სერთიფიკატის/სერთიფიკატის დუბლიკატის, გაცემასთან დაკავშირებული ის საკითხები, რომელსაც არ ითვალისწინებს წინამდებარე წესი რეგულირდება დაწესებულების საქმისწარმოების წესითა და მოქმედი კანონმდებობლით.

28.5. პროფესიული განათლების აღიარებასა და კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია დადგენილი წესით ინახება დაწესებულებაში შემდგომი დამუშავებისა და არქივში გადაცემისათვის.

მუხლი 29. ინკლუზიური პროფესიული განათლების უზრუნველყოფა

29.1. დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის).

29.2. ინკლუზიური პროფესიული განათლება არის თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი, რომლის ფარგლებშიც ყველა პროფესიული სტუდენტისათვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება.

29.3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის/პირების სწავლის პროცესში ჩართულობას დაწესებულება უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნით, რაც გულისხმობს:

ა) სასწავლო ფართის სრულად ადაპტირებას;

ბ) სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისათვის წინამდებარე წესის მე-20 მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას;

გ) საჭიროების შემთხვევაში სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტთა ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ასისტენტებით, ჟესტური ენის თარჯიმნებითა და სპეციალური ასისტენტებით უზრუნველყოფას.

მუხლი 30. შეფასების სისტემის ვერიფიკაცია

30. 1. შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით ხორციელდება შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია ვერიფიკაციის პროცესის დელეგირების ცხრილის შესაბამისად (დანართი 3) შემდეგი მიმართულებით:

ა) შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;

ბ) შეფასების პროცესის ვერიფიკაცია;

გ) მტკიცებულებათა ვერიფიკაცია.

30.2. შიდა ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებლობა ეკისრება ხარისხის მართვის მენეჯერს;

30.3. ვერიფიკაციის პროცესს, შესაბამისი თანმდევი ქმედებებით, ახორციელებს ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის სამოქმედო გეგმაში;

30.4. ვერიფიკაციის პროცესის ეფექტურად მართვის მიზნით, ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს მის დაგეგმვას, რაც მოიცავს შემდეგს:

ა) რისკების სქემის შემუშავება (დანართი 4);

ბ) რისკების ანალიზის საფუძველზე ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების იდენტიფიცირება, რომელშიც შეუსაბამობის მაღალი ალბათობა არსებობს;

გ) მტკიცებულებათა შერჩევითი მიდგომისა და რაოდენობის განსაზღვრა;

დ) ვერიფიკატორთა ჯგუფის შედგენა (დაუშვებელია, ვერიფიკაციის პროცესში მონაწილეობდეს, პირი, რომელმაც შექმნა ინსტრუმენტი, ან ჩართული იყოს ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესში)

ე) ვერიფიკატორთა ინსტრუქტაჟი.

30.5. მე-4 პუნქტში გაწერილი ეტაპების შემდეგ, ხარისხის მართვის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე, კოლეჯის ხელმძღვანელი მიმართავს მოხსენებითი ბარათით ცენტრის აღმასრულებელ დირექტორს ვერიფიკაციის პროცესის დამტკიცების შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე. აქტი უნდა არეგულირებდეს ვერიფიკაციის იმ საკითხებს, როგორიცაა ვერიფიკატორთა შემადგენლობა, რისკ-ფაქტორები, იდენტიფიცირებული ინსტუმენტები, შერჩევის მიდგომა, ვერიფიკაციის დოკუმენტის ფორმა და პროცესის განხორციელების პერიოდი.

30.6. ვერიფიკაციის პროცესი ხორციელდება წინამდებარე დებულებით დადგენილი წესისა და დანართი 3-ის შესაბამისად;

30.7. დასკვნის მომზადება (ერთ კრიტერიუმზეც კი „არას“ შემთხვევაში ინსტრუმენტი უბრუნდება მოდულის განმახორციელებელ პირს შესასწორებლად, შესაბამისი რეკომენდაციებით) დანართი 5 - დასკვნის ფორმა;

30.8. დასკვნის გაზიარება მოდულის განმახორციელებელ პირებთან ინდივიდუალურად;

30.9. ვერიფიკაციის პროცესის სრულად განხორციელების შემდეგ ხარისხის მართვის

მენეჯერის ანგარიშგება ხელმძღვანელ პირებთან.

მუხლი 31. დასკვნითი დებულებები

31.1. წინამდებარე წესი მტკიცდება დაწესებულების აღმასრულებელი დირექტორის მიერ.

31.2. წინამდებარე წესში ცვლილების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად.

31.3. დებულება გაცნობის მიზნით განთავსებულია დაწესებულების ONE DRIVE -ზე.

საქართველო GEORGIA

შპს მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერი
Meridian Maritime Training Center LLC

MMTC №

სერტიფიკატი

შპს მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერის აღმ. დირექტორის წლის ბრძანებით

გადაეცა სერტიფიკატი დადასტურებული მოდულების თაობაზე

დადასტურებული მოდულები:

1 .....
2 .....
3 .....
4 .....

აღმ. დირექტორი ირაკლი შარაბიძე

ბათუმი _____ _____ _____
რიცხვი თვე წელი

სარეგისტრაციო№ _____

საქართველო GEORGIA

MERIDIAN

შპს მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერი

Meridian Maritime Training Center LLC

დიპლომი

Diploma

MMTC № 000000

წლის № ბრძანებით

მიენიჭა პროფესიული კვალიფიკაცია

By the Order №

was awarded Vocational Qualification

დირექტორი
Director / /

ბ.ა.
Seal

ბათუმი
Batumi _____ _____ _____
რიცხვი/day თვე/month წელი/year

სარეგისტრაციო
Registration №

დამკვეთი:
დამამზადებელი:
სემგს-ს რეგისტრაციის №

3. ლოგო შესრულებულია საღებავით, რომელიც ულტრაიისფერი სხივების ქვეშ გამოსცემს ლუმინესცენციას;

2. დიპლომის სერია და ინდივიდუალური ექვსნიშნა ნუმერაცია, რომელიც ულტრაიისფერი სხივების ქვეშ გამოსცემს ლუმინესცენციას;

MERIDIAN

საქართველო GEORGIA

შპს მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერი

Meridian Maritime Training Center LLC

დიპლომი

Diploma

MMTC № 000000

წლის № ბრძანებით

მიენიჭა პროფესიული კვალიფიკაცია

By the Order №

was awarded Vocational Qualification

დირექტორი
Director

/ /

ბ.ა.
Seal

ბათუმი
Batumi რიცხვი/day თვე/month წელი/year

სარეგისტრაციო №
Registration

1. დამცავი (გილიოშური) ბადე, ბადეების სამი სახის ერთდროული გამოყენებით;

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
კოლეჯი „მერიდიანი“
ს/კ: 445593705

ჯავახიშვილის 4ა
ბათუმი, საქართველო, 6004
ტელ: (+995) 511 400 303
ელ-ფოსტა: info@meridiani.edu.ge

MERIDIAN

LIMITED LIABILITY COMPANY
College "Meridiani"
I/N: 445593705

Javakhishvilis str. 4a
Batumi, Georgia, 6004
Tel: (+995) 511 400 303
E-mail: info@meridiani.edu.ge

ვერიფიკაციის პროცესის დელეგირების ცხრილი

პროცესის ეტაპი/ პასუხისმგებელი/ მონაწილე	ხარისხის მართვის მენეჯერი	ვერიფიკატორი (ჯგუფი)	ვერიფიკატორი (დარგი)	ინსტრუქტორ-მეთოდისტი	შემფასებელი	პროფესიული სტუდენტი	სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი/, პროგრამის ხელმძღვანელი
ვერიფიკაციის გეგმის შედგენა							
ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტის შერჩევა							
ვერიფიკატორების შერჩევა							
ვერიფიკატორების ინსტრუქტაჟი							
შესამოწმებელ მტკიცებულებათა იდენტიფიცირება							
შესამოწმებელი ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების გამოთხოვა							
ინსტრუმენტის შეფასების მიმართულებასთან შესაბამისობის დადგენა							
ინსტრუმენტის შინაარსობრივი შეფასება ვალიდურობის თვალსაზრისით							
მტკიცებულებათა ფიზიკურად არსებობის შემოწმება							
მტკიცებულებათა მიხედვით შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემოწმება							
მტკიცებულებათა საკმარისობის შეფასება							
მტკიცებულებათა ვალიდურობის შეფასება							
შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმის შემოწმება							
წინასწარი ინფორმირების ფაქტის გადამოწმება მექანიზმის შესაბამისად							
შეფასების დროის საკმარისობის შეფასება							
შეფასების გარემოს შესაბამისობის შეფასება							
შეფასებისას გამოსაყენებელი აღჭურვილობის ადეკვატურობის შეფასება							
შეფასებისას გამოსაყენებელი მასალების და ნედლეულის ადეკვატურობის შეფასება							
შეფასების პროცესის ფაქტობრივი გარემოებების შემოწმება							
მტკიცებულებათა შეფასება ობიექტურობის თვალსაზრისით							
ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის შედგენა							
ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის განხილვის ორგანიზება, შეთანხმება ფაქტობრივ გარემობებზე							
შეთანხმება რეკომენდაციებზე (საჭიროების შემთხვევაში							
ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნის შედგენა							
რეკომენდაციების შესრულების გეგმის შედგენა (საჭიროების შემთხვევაში)							
ანგარიშგება რეკომენდაციების შესრულების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში)							
რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (საჭიროების შემთხვევაში)							

ეტაპზე პასუხისმგებელი	
მონაწილე	
ინფორმირება	

რისკების იდენტიფიცირების წესი

რა არის რისკი?

რისკი არის გათვლილი პოტენციური ზიანი, რომელიც მოიცავს საფრთხეს მოცემული პროცესისათვის თუ საბოლოო პროდუქტისთვის. რისკი არ არის პრობლემა, არამედ ის, რაც პრობლემის უგულვებელყოფით/მოუგვარებლობით შეიძლება წარმოიქმნას.

რა არის რისკის მოხდენის ალბათობა?

რისკის მოხდენის ალბათობა არის კონკრეტული შედეგის დადგომის შესაძლებლობა, სადაც გასათვალისწინებელია შედეგის დადგომის სიხშირე.

რას ნიშნავს რისკის გავლენა?

რისკის გავლენა არის მიღებული ეფექტი კონკრეტული შედეგის დადგომის შემთხვევაში

რისკის ალბათობა		**რისკის გავლენა**	
უმნიშვნელო ასეთი შემთხვევა ჯერ არ ყოფილა პრაქტიკაში	1	**უმნიშვნელო** არ საჭიროებს რაიმე შიდა რესურს	1
დაბალი შესაძლებელია მოხდეს 15-20 წელიწადში ერთხელ	2	**დაბალი** შედარებით მნიშვნელოვანი რომელიმე პროცესის მიმართ, საჭიროებს მცირე და ასატან რესურსებს ორგანიზაციის მხრიდან	2
საშუალო ხდება 5-10 წელიწადში ერთხელ	3	**საშუალო** რეპორტირებული დაინტერესებული პირთა მიმართ, აღდგენადი, საჭიროებს დახმარებას გარედან და გარკვეულ დამატებით რესურსებს	3
მაღალი ხდება დაახლოებით 1-2 წელიწადში ერთხელ	4	**მაღალი** ბიზნესის მიმართ შეუქცევადი დარტყმის მქონე - ასუსტებს, აკნინებს ბიზნესის რესურსებს და იმიჯს გამოუსწორებლად	4
ძალიან მაღალი ხშირი მოვლენაა, ყოველთვიურად, ყოველ კვირას, ყოველ დღე.	5	**ძალიან მაღალი** შეიძლება გამოიწვიოს ბიზნესის განადგურება, გაუქმება, გაკოტრება, აწულირება	5

როგორ განვსაზღვრავთ რისკის დონეს?

რისკის დონის განსაზღვრა ხდება ალბათობის გავლენაზე გამრავლებით.

რისკის დონე	**რისკის მნიშვნელობის დიაპაზონი**	**რისკის დონის აღწერა**
დაბალი	8-Jan	რისკის აღმოფხვრის ზომების დაგეგმვა აუცილებელი არ არის
საშუალო	9-15	რისკის აღმოფხვრის ზომების დაგეგმვა აუცილებელია, ვიდრე რისკი დადგება. დაფინანსების წყარო განსაზღვრული და დოკუმენტირებულია; ყველა გადაწყვეტილებას იღებს და აკონტროლებს პროცესის მფლობელი.
მაღალი	16-25	რისკის აღმოფხვრის დაგეგმვა აუცილებელია დაუყოვნებლივ, ვიდრე რისკი დადგება; დაფინანსების წყარო განსაზღვრული და დოკუმენტირებულია; ყველა გადაწყვეტილებას იღებს და აკონტროლებს ხელმძღვანელობა.

მისაღები და მიუღებელი რისკების იდენტიფიცირება
თუ რისკის მნიშვნელობის დიაპაზონი არის 1- 8, ანუ რისკის დონე არის დაბალი, ეს ნიშნავს რომ რისკი მისაღებია და არ საჭიროებს აღმოფხვრის ზომების წინასწარ განსაზღვრას. საშუალო და მაღალი რისკების მნიშვნელობის დიაპაზონის შემთხვევაში, რისკი არის მიუღებელი, შესაბამისად სავალდებულოა წინასწარ განისაზღვროს აღმოფხვრის შესაძლებლობები.

მომდევნო წლის რისკების იდენტიფიცირებას ახდენს რისკის მფლობელი ზემდგომ მოადგილესთან ერთად სააგენტოს შიდა და გარე ფაქტორების განსაზვრის შემდგომ. რისკების დამტკიცება ხდება დირექტორის მიერ ყოველწლიურად არა უგვიანეს 15 მარტისა.		
დამტკიცებული რისკების რეესტრი ეგზავნება ყველა პროცესის მფლობელს გაკონტროლების მიზნით (ს/ზარათით ცირკულარი) და ასევე დასკანირებული სახით თავსდება სააგენტოს Share Folder-ში.		
რისკის გადატანა სამოქმედო გეგმაში (MTA3-03-114) ხდება შემდეგ შემთხვევებში:ა) როდესაც რისკის დონე არის საშუალო ან მაღალი; ბ)როდესაც რისკის დონე დაბალია, მაგრამ გავლენა არის 5 და რისკის მფლობელის შეხედულებისამებრ მიზანშეწონილია მისი სამოქმედო გეგმაში გაწერა. ასეთი შემთხვევა საჭიროებს დირექტორის თანხმობას.		
რისკების დამტკიცება ხდება დირექტორის მიერ ხელმოწერის გზით. რისკების დამტკიცებამდე უნდა მოხდეს რისკების შეთანხმება ხდება კურატორ მოადგილეებთან ასევე დოკუმენტზე ხელმოწერის გზით.		
რისკებში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, რისკის მფლობელი ათანხმებს აღნიშნულს ზემდგომთან. რისკების გადახედვა ხდება ივლისის თვეში რისკის მფლობელის და კურატორის მიერ. ცვლილებების შემთხვევაში ეცნობება ანალიტიკურ სამსახურს შესაბამისი დასაბუთებით დეს-ით.		
რისკების შესახებ ინფორმაცია განიხილება ხელმძღვანელების მიერ შემაჯამებელი მიმოხილვის დროს		
რისკების შესახებ ინფორმაცია განიხილება ხელმძღვანელების მიერ შემაჯამებელი მიმოხილვის დროს		

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
კოლეჯი „მერიდიანი“
ს/კ: 445593705

ჯავახიშვილის 4ა
ბათუმი, საქართველო, 6004
ტელ: (+995) 511 400 303
ელ-ფოსტა: info@meridiani.edu.ge

MERIDIAN

LIMITED LIABILITY COMPANY
College "Meridiani"
I/N: 445593705

Javakhishvilis str. 4a
Batumi, Georgia, 6004
Tel: (+995) 511 400 303
E-mail: info@meridiani.edu.ge

ვერიფიკაციის დასკვნა

დაწესებულების დასახელება	შპს მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერის კოლეჯი
პროგრამის სახელწოდება	საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია
მოდული/სწავლის შედეგი	
შემფასებელი	
ვერიფიკაციის სქემა	
ვერიფიკაციას დაექვემდება	
შეფასების პერიოდი	
ვერიფიკატორი	
ვერიფიკაციის ჩატარების პერიოდი	

სისტემის ნაწილი	**შემოწმების მიდგომა**	**ინდიკატორი**	**დიახ/ არა/წაწილობრივ**	**მტკიცებულება არას შემთხვევაში**	**რეკომენდაცია**
ვალიდურობა					
შეფასების სისტემა ვალიდურია, თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე, შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა					
შეფასების ინსტრუმენტი					
სანდოობა					
შეფასების სისტემა სანდოა, თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით.					
შეფასების მტკიცებულება					
გამჭვირვალეობა					
შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი					
შეფასების პროცესი					
სამართლიანობა					
შეფასების სისტემა სამართლიანია, თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის სამუალებას აძლევს შესაფასებელ პირს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე, შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული.					
შეფასების პროცესი					
ობიექტურობა					
შეფასების სისტემა ობიექტურია, თუ ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირი შესრულების პირობებში ერთნაირად არის შეფასებული.					
შეფასების პროცესი					

ვერიფიკატორის ხელმოწერა _____